

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
მე-16 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნების
შესრულება;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლისათვის ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით
მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო
კლასიფიკაციის შესაბამისად;

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების
წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების
წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის
შემოსულობები;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების
საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 136,692.3 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 35,000.0 ათას ლარს. მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადი - 21,000.0 ათასი ლარი.

ქონების გადასახადის - 14,000.0 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 68,642.3 ათასი
ლარით: მათ შორის:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გათანაბრებითი ტრანსფერი -
33,642.3 ათასი ლარი;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი -
20,000.0 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები
კაპიტალური ტრანსფერი - 15,000.0 ათასი ლარი;

2016 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 30,550.0 ათასი ლარის ოდენობით:

- საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,150.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 1,425.0 ათასი ლარის მობილიზება;
- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 725,0 ათასი ლარის ოდენობით.

- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 23,700.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 23,700.0 ათასი ლარის ოდენობით.

- ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 700.0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 2,500.0 ათასი ლარით.

ფინანსური აქტივების შემცირების კუთხით (2016 წლისათვის არსებული ნაშთის გამოყენება) იგეგმება 750,0 ათასი ლარის გამოყენება.

პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 137,442.3 ათას ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 58.7% - 80,625.9 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 20,318.6 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 29,516.9 ათასი ლარი;
- პროცენტი - 3,645.9 ათასი ლარი;
- გრანტები - 10.0 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 11,726.1 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 5,889.5 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 9,518.9 ათასი ლარი;

- მთლიანი ასიგნებების 33.1% - 45,521.9 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე (შემენაზე).

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 11,294.5 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 8.2%-ია.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური;

ვ) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის საფინანსო-ეკონომიკური
სამსახურის უფროსი

ეგარსლან ლომაძე